პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
25 სექტემბერი
№ 220 (17565)
ფასი 2 კაპ.

საქმემ გამოაჩინა

ქარელის რაიონის მეურნეობათა ბაღებში გაჩაღებულია ვაშლის კრეფა. დედოფლის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა უკვე 6 ათას ცენტნერზე მეტი ხილი მოკრიფეს. პროდუქცია იგზავნება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სავაჭრო ქსელში.

სურათებზე: ვაშლს კრეფენ ქარელის რაიონის დედოფლის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღებში; დღეში ხილის კრეფის ნორმას გადაჭარბებით ასრულებს კომკავშირელი მედეა სომხიშვილი.

ა. ჩარკვიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრწყინავს ბაღი, ქართლის ბაღი...

კომუნისტები კომკავშირში

მეოთხედის წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღინიშნა ლენინური კომკავშირის სახელოვანი მე-60 წლისთავი. ისტორიის კუთვნილება გახდა ბრძოლისა და შენების ბობოქარ წელთა მატიანის მე-60 გვერდი. „გადავცემთ რა ჩვენს ახალგაზრდა ცვლას წითელ დროშას, — თქვა ამ ხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამ თარიღისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომაზე, — ჩვენ, კომუნისტებს, მტკიცედ გვწამს: ლენინური კომკავშირი კვლავაც ღირსეულად გაამართლებს პარტიის ნდობას, ძალ-ღონეს არ დაიშურებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ!“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კომკავშირის წინსვლისა და ძლიერების, კომკავშირული ორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლების თავგანკარა წყაროა ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება, კომკავშირში პარტიული ბირთვის განმტკიცება. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად მიაპყრობენ ამ საკითხს პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების უურადღებას, ურჩევენ მათ გაძლიერონ პარტიული ბირთვი კომკავშირში, განამტკიცონ კომკავშირული მუშაობის ბევრი უბანი იმ კომუნისტებით, რომლებმაც კარგად იციან და უყვართ მუშობა, ახალგაზრდობასთან, შეუძლიათ მათი გაძღოლა.

უთუოდ ძალიან კარგია, რომ განსაკუთრებით ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად გზავნიან კომკავშირში სამუშაოდ ახალგაზრდა კომუნისტებს, რომლებსაც თან მოაქვთ პარტიული პრინციპულობა, მოზანსწრაფვა, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. ამჟამად რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში 88692 ახალგაზრდა კომუნისტი მუშაობს. ეს ციფრი თითქმის ორჯერ აღემატება 1973 წლის მაჩვენებელს, ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში 10,3 პროცენტით გაზარდა კომუნისტთა რაოდენობა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს შორის. კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, მათში პარტიული ბირთვის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ აჭარის ას რესპუბლიკის, თბილისის, რუსთავის, ლენინაკანის, სამტრედიის, ახალქალაქის, ზუგდიდის (რაიონი) და რესპუბლიკის სხვა რეგიონების პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები.

მაგრამ ამოცანა მხოლოდ ის კი არ არის, რომ კომკავშირულ სამუშაოზე დავაწინაუროთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა კომუნისტი და საქმე ამოწურულად ჩაითვალოს (ამის მაგალითებს ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით), არამედ ის, რომ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება არ მოვაკლოთ მათ. პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების მოვალეობაა მუდმივი და ქმედითი კონტროლი დაუწესონ იმას, თუ როგორ იღწევან კომკავშირში არჩევითს სამუშაოზე დასაქმებული ახალგაზრდა კომუნისტები, დაინტერესდნენ მათი საჭიროებებით, დაეხმარონ ახალგაზრდობასთან მუშაობის ხელოვნების დაუფლებაში, სისტემატური უურადღება მიაქციონ იმას, რომ ახალგაზრდების ინტერესებისათვის, მათი აღზრდისათვის არანაკლებ მზრუნველობას იჩენდნენ სხვა პარტიელებიც. კომკავშირული პოლიტგანათლების წრისადმი ხელმძღვანელობა, ახალბედებისათვის პროფესიის სწავლება, მოზარდებისადმი შეფობა და ახალგაზრდობასთან მუშაობის ბევრი სხვა ფორმა ხომ ყველა ასაკის კომუნისტს აძლევს საშუალებას აქტიურად მონაწილეობდეს ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

კომკავშირულ ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომა დამახასიათებელია პარტიის ქუთაისის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით პერიოდულად განიხილავენ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, ახალგაზრდობასთან მუშაობის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებს, კონკრეტულად ინტერესდებიან მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობებით, ზრუნავენ ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატებისათვის, კომკავშირული აქტივის სწავლების გაუმჯობესებისათვის. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მიუერიების წევრები სისტემატურად მონაწილეობენ კომკავშირულ ღონისძიებებში, ყოველმხრივ ახალისებენ და ეხმარებიან ახალგაზრდებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მაგალითად, მათ აქტიური მონაწილობა მიიღეს ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარე რესპუბლიკურ კომკავშირულ კრებაში „ფორმალიზმი — აღზრდის უმირველესი მტერი!“ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით აქ წამოჭრილი მრავალი პრობლემა დროულად გადაწყდა. კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის ასეთი ხტილი დამახასიათებელია ქალაქის პირველად პარტორგანიზაციების უმეტესობისთვისაც.

სწორედ კომკავშირისადმი ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების, კომკავშირში პარტიული ბირთვის განმტკიცებისათვის ზრუნვის შედეგია ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც მესტიელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მიუძღვით სამთო მეცხოველეობის განვითარებაში, რაიონში ამ ბოლო წლების მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან სასიკეთო გარდაქმნებში. ამასთანავე მათ არც თავიანთი კომკავშირული, ახალგაზრდული პრობლემები დავიწყებიათ. აქაურმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა უსახსოდლოდ, საკუთარი ძალებით ააშენეს შესანიშნავი სპორტული კომპლექსი მოლახში, ახალგაზრდული კლუბები „ბეთქილი“ და „შგარიდა“ დაბის ცენტრსა და ეცერის სასოფლო საბჭოში, ახალგაზრდული ცენტრები შენდება ლატალსა და იფარში, წლეულს გაიხსნა მ. ხერგიანის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის პირველი რიგი და ა. შ. ახლახან შესტიის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია თბილისის საქალაქო და გურჯაანის რაიონულ კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომკავშირული ორგანიზაციების მიერ 1979 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ამასთან ერთად არის შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ აფასებენ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, კომკავშირში კომუნისტთა მუშაობის მნიშვნელობას. მაგალითად, შარშანდელთან შედარებით 76-ით შემცირდა არჩევითს კომკავშირულ სამუშაოზე დასაქმებულ კომუნისტთა რიცხვი ბოგდანოვკაში, 39-ით — წულეკიძეში, 20-ით — თიანეთში, 5-ით — ლაგოდეხში, 2-ით — ზნაურში და ა. შ. რესპუბლიკის 88 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის ონში, ბოლნისში, დმანისში, წითელწყაროში და სხვაგან პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნებს შორის კომუნისტთა რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება ამ მხრივ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, ბევრგან ძალიან მცირერიცხოვანია პარტიული ბირთვი პიონერულ მუშაკებსა და პიონერხელმძღვანელებს შორის.

ამ რაიონების პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტორგანიზაციებს მეტი დაფიქრება მართებთ კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ვერც ადიგენის, ამბროლაურის, ახალციხის, ყაზბეგის, ლენინგორის რაიონებშია სათანადო დონეზე კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმე.

სამწუხაროდ, ხშირია, როცა კომკავშირისადმი ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მეურვეობას უფრო წაადგა, ხოლო ზოგან ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე ფორმალურად არის მოწყობილი. ამის მაგალითია ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელობა ამ ზოგიერთი კომისიის საქმიანობა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებაშია შექმნილი.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ფინანსთა, კვების, მსუბუქი მრეწველობის და ზოგიერთ სხვა სამინისტროსთან და უწყებასთან არსებულ კომისიებში. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ, სწავლობენ და სამინისტროების კოლეგიის სხდომებზე განიხილავენ ახალგაზრდობის პრობლემებს, კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის საკითხებს, სახავენ ამ მხრივ საქმის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. მაგრამ ყველგან, კერძოდ, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებში, ეს კომისიები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. საინტერესოა, რას იტყვიან აქაური პირველადი პარტორგანიზაციები, აქ მომუშავე კომუნისტები? ნუთუ, მათი აზრით, ეს არის ახალგაზრდობის პრობლემების გადაჭრისათვის ეფექტური პარტიული ზრუნვა, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა?

ეს ფაქტები თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ რესპუბლიკის ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტორგანიზაციამ უფრო მეტი და სისტემატური უურადღება უნდა დაუთმოს კომკავშირში პარტიული ბირთვის განმტკიცებას, შეუნელებლად იზრუნოს კომკავშირული ორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლებისათვის, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში გულგრილობა და ფორმალიზმი შეუწყნარებელია. თითოეული პარტიული კომიტეტის, ყოველი პირველადი პარტორგანიზაციის მოვალეობაა პრაქტიკულად დაეხმაროს ახალგაზრდობას ამჟამად კომკავშირში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მაღალ დონეზე მოწყობაში, იზრუნოს იმისათვის, რომ ყოველი კომკავშირული ორგანიზაცია ამ კამპანიიდან კიდევ უფრო გამობრძმედილი, ერთსულოვანი და დარაზმული გამოვიდეს. მათ გეგმაზომიერად უნდა წარმართონ კომკავშირელები და ახალგაზრდები, რათა ისინი მთელ თავიანთ ძალ-ღონისა და ენთუზიაზმს ახმარდნენ სახალხო-სამეურნეო გეგმების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა გონივრულად უნდა გამოიყენონ ჩვენი შესანიშნავი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და ახალგაზრდული შემართება ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით კიდევ უფრო უნდა გააქტიურონ „კომკავშირული პროექტორის“ შტაბების მუშაობა.

ბუნებრივია, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შემდეგაც ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი მივა. მათ თავიანთი პარტიული ორგანიზაციების მხრივ მუდმივი ყურადღება და დახმარება დასჭირდებათ, რათა უფრო უნარიანად გამოიყენონ უკვე შეძენილი ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება, გაამდიდრონ იგი მჩქეფარე კომკავშირული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი შინაარსით.

ამოცანა ნათელია: თითოეული პარტიული ორგანიზაცია დღეიდანვე, შემოქმედებითად და მიზანსწრაფულად უნდა ზრუნავდეს კომკავშირში კომუნისტთა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის, ამ საპატიო საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲖᲔ

გამოვიდა ვ. ი. ლენინზე მოგონებების მესამე ტომი, რომელშიც შევიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თანამედროვეთა მოგონებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან 1920 წლის გაზაფხულამდე მისი საქმიანობის შესახებ.

რევოლუციის პირველი წლების ამბების მონაწილენი მოგვითხრობენ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ვ. ი. ლენინის ბრძოლის შესახებ, გარეშე და შინაური კონტრრევოლუციისაგან სოციალისტური საშობლოს დაცვის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელის პოსტზე ლენინის მუშაობის შესახებ.

მოგონებების ავტორები დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიხატავენ ბელადის დაუვიწყარ უკვდავ სახეს.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკედესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲛᲔᲒᲖᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲜᲐᲡ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ!

ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲪᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲚᲐᲕᲔᲜ

ფშავში კუდოს მთა ოდითგანვე ცნობილია ქორფა ბალახით, რომელიც აქ უხვად მოდის. ასობით ჰექტარზე გადაჭიმულა ბუნებრივი სათიბები. მაგრამ საკვების დამზადება და ფერმებში თივის მატანა არა მარტო სიძნელეებთან, არამედ რისკთანაც იყო დაკავშირებული. მხოლოდ გამოცდილ მთიბავს შეეძლო მშვიდობიანად თივის ჩამოტანა ციცაბო ფერდობებზე.

და აი ახდა ფშაველთა ოცნება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით საავტომობილო გზებმა კუდოს მთა და მისი მიდამოები ფშავის ცენტრს — სოფელ მაღაროსკარს დაუკავშირეს.

გზა ააშენა „საქსახსოფლტექნიკის“ საძოვრებისა და მისასვლელი გზების გაუმჯობესების მექანიზებული სამმართველოს კოლექტივმა. ვაღში არ დარჩენილა სოფელ მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობაც, რომელმაც გზის მშენებლობისათვის სახსრები გამოპყო.

მაღაროსკარის კოლმეურნეობაში ახლა წარმატებით მიმდინარეობს საკვების დამზადების ორთვიური. ამ სამუშაოებზე გამოდიან მოხუცებიც და ახალგაზრდებიც: კოლმეურნეები, პენსიონერები, მოსწავლეები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ყველგან მთებში ცელები ელავს. ბალახს სწრაფად აშრობენ და ზვინავენ. მოწინავე მთიბავებს ლევან კაკაბლიშვილს, დავით მგელიაშვილს, ხვთისო მახაურსა და სხვებს ტოლს არ უდებენ მაღაროსკარის საშუალო სკოლის დირექტორი გიორგი თურმანაული, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ნიკო არაბული, პედაგოგები მათე თურმანაული, ნიკო ჭინჭარაული, გიორგი გუშარაშვილი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაკები გოგი მაჩხოშვილი, გოდერძი სულიაშვილი, ივთანდილ ნაყეური, გიორგი მახარი... ყოველ დღე 500-ზე მეტი კაცი შრომობს საკვების დამზადებაზე.

საკვებდამამზადებლები იყენებენ საშუალებებსაც — „მფთ 73“ მარკის — მცირე მექანიზაციის მოტოსათიბელებს. ერთ დღეში სათიბელა თიბავს სამ ჰექტარს—ასრულებს ათობით მთიბავის სამუშაოს.

რაკი გზა გაკეთდა, მთებისაკენ ტრაქტორებიც დაიძრნენ. არჩილ პაპაიშვილი მარჯვედ ატარებს თავის „ბელარუსს“ ციცაბო ფერდობებზე. ეზიდება თივას საავტომობილო გზისაკენ. ერთი ტრაქტორი 10-12 კაცს და ამდენსავე უღელ ხარს ცვლის.

სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეობა აერთიანებს ფშავ-ხევსურეთის ყველა სოფელს, რომლებიც ას კილომეტრამდე რადიუსშია განლაგებული. ყველგან საკოლმეურნეო ცენტრსა თუ სოფლებში ჩარგალში, ბარისახოში, გუდაწში, შატალში, მუცოში საკვებისათვის ზრუნვით ცხოვრობენ. პლაკატები და ლოზუნგები იუწყიანან, რომ წელს კოლმეურნეობა დაამზადებს 20 ათას ცენტნერ თივას — ორი ათასი ცენტნერით მეტს, ვიდრე შარშან. აქედან უკვე დამზადებულია დაახლოებით 15 ათასი ცენტნერი.

მთიბავებს ყველა პირობა შეუქმნეს შრომისა და დასვენებისათვის. ისინი ცხოვრობენ კარვებში, ახლახან ავტოფარდულებმა დასახლებულ პუნქტებში მიიტანეს ყოველდღიური მოთხოვნის საქონელი. ზრუნავს საკვებშომპოვებელთა ანაზრთოლობისათვის ახალგაზრდა ექიმი ლალი ლოსეურაშვილიც. მათთან ჩადიან აგიტმხატვრული ბრიგადებიც, რომლებიც მართავენ კონკურტებს, კითხულობენ ლექციებს პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე და სხვ. მთიბავებთან მედიან ხოლმე პარტიის დუშეთის რაიკომის ბიუროს წევრები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

მაღაროსკარელებმა იციან საკვების ფასი, და ამიტომ აქვთ კიდეც მთ მაღალი მაჩვენებლები მეცხოველეობაში.

ახლა დუშეთის რაიონში თიბავის გადამწყვეტი დღეები დადგა. ბალახი უხვად მოვიდა. დიდძალ საკვებს ამზადებენ სოფლების მლეთის, მჭადიჯრის, ფასანაურის კოლმეურნეობებში, ანანურის, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

დუშეთის რაიონის საკვებდამამზადებლები პირობას დებენ, რომ პირუტყვს კარგად გამოაზამთრებენ. (საქინფორმი).

სურათებზე: საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ბამლეტ კერესელიძე ეხაუბრება მაღაროსკარელ მოსწავლეებს, რომლებიც თივის დამზადებაზე მუშაობენ; საკვების დამზადება მცირე მექანიზაციის საშუალებით.

ნ. ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲣᲚᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲐᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲖᲝᲖᲘᲜᲡ...

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲐᲠᲛᲝ

ᲯᲐᲚᲐᲯ ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის აგურის საწარმო მშენებლებს ყოველწლიურად მილიონ ხუთას ათას ცალზე მეტ აგურს აწვდიდა. გეგმებიც სრულდებოდა და მშენებლებიც აგურის ხარისხით კმაყოფილი იყვნენ. არც კომბინატი ზარალობდა, რადგან საწარმო რენტაბელური იყო. ამას კი მარტო ახალი დანადგარებისა და ხაზების გამართვით როდი მიაღწიეს. საწარმოს გარს ერტყა კარიერი, რაც აიაფებდა პროდუქციას.

ჯერ კიდევ 1957 წელს ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობის „საქართველოს“ ტერიტორიაზე დაიზვერა 30 ჰექტარი საადგილო ნაკვეთი, რომლის ბაზაზე იქვე აშენდა აგურის საწარმო. მაშინ აზრად არავის მოსვლია, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისათვის გადაემტკიცებინა დაზვერილი ფართობი. მარტოოდენ 15 ჰექტარი ნაკვეთის ექსპლოატაციას შეუდგნენ ისე, რომ სათანადო დადგენილებით არ გაუფორმებიათ; ეს მხოლოდ შემდგომ წლებში დაანონდა.

ამასობაში რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ ძლიერდებოდა და აღმავლობის გზას ადგა. იზრდებოდა მისი შემოსავალიც. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ რუხელები გამოუყენებლად არც ერთ მტკაველ მიწას არ ტოვებდნენ. ერთ დროს საადგილო თიხისათვის დაზვერილი 30 ჰექტარიდან დარჩენილი 15 ჰექტარი ფართობი ისედაც მცირემიწიანმა კოლმეურნეობამ ერთსულოვანი კულტურების სათესად გამოიყენა. ახლა კი მიხვდნენ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ხელმძღვანელები, რომ გეოლოგების მიერ დაზვერილი საადგილო კარიერი ხელიდან გამოეცალათ, ხოლო რაც ათვისებული ჰქონდათ, მისი მარაგი იწურებოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „გვიანია იყო თითზე კბენანი“.

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ — ამ ლამაზი სიტყვებით მიაშურეს რუხელ მეზობელს კომბინატის ხელმძღვანელებმა, თან სთხოვეს: ნუ წაგვართმევთ, ვიღუპებით, საწარმო უნედლეულოდ ვგრჩება. დაგვთანა და... საწარმომ მუშაობაც შეწყვიტა(!).

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უნედლეულოდ დარჩენილ საწარმოს წლევანდელ 8 თვის გაგაბში რატომღაც მილიონ 40 ათასი ცალი აგურის გამოშვება შეუტანა, მაგრამ საწარმო გეგმას როგორ შეასრულებდა, როცა ნედლეული არ ჰქონდა და რამდენიმე თვე კვლავ უმოქმედოდ იდგა. მაშინ სამინისტრომ ხელქვეითებს კატეგორიულად მოსთხოვა უზრუნველეყოთ გეგმის შესრულება ნარჩენების ბაზაზე. ამოქმედდა მთელი აპარატი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და როგორც იყო, ნარჩენებიდან 320 ათასი ცალი აგური გამოწვეს. გეგმა მაინც ვერ შესრულდა, 8 თვეში სახელმწიფოს 120 ათასი ცალი აგური დააკლდა.

მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მოთხოვნაა საკედლე მასალებზე და, კერძოდ, აგურზე. ამიტომ შენებლები ხარისხს აღარ დაგიდევდნენ, ისე „გაზიდეს“ იგი სამშენებლო პოლიგონებზე.

... როცა კაბინეტიდან მიმოწერამ საქმეს ვერ უშველა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მომდინარე წლის 23 მარტს გამოგზავნა კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა, გამოდგება თუ არა საადგილო კარიერად ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ სოფელ ოდიშის ტერიტორიაზე მითითებული მიწის ნაკვეთი. კომისიის მიერ შედგენილ აქტში ვკითხულობთ:

„... მიწის ნაკვეთი მდებარეობს ზუგდიდ-წალენჯიხის საავტომობილო გზის მეოთხე კილომეტრზე, ქარხნიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, გზიდან მიწის ნაკვეთამდე 300 გრძიმეტრზე სამანქანო გზა არ არსებობს, თიხები ქვიანია, წარმოადგენს საძოვარს, ადგილ-ადგილ დაფარულია ტყე-ბუჩქნარით და აღნიშნული ტერიტორია გეოლოგიურად შესწავლილი არ არის“... (სტილი დაცულია. გ. ნ.).

ამის წამკითხავს, ბუნებრივია, ასეთი კითხვა დაებადება: კი მაგრამ, ვის უნდა აინტერესებდეს ნედლეულოთ საწარმოს უზრუნველყოფა და ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა, თუ არა თვით სამინისტროს?

ჩვენ ხელთ გვაქვს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ფარდას ხდის ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ინერტულობას: აი რას წერდნენ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოდან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს: „სოფელ რუხის კოლმეურნეობიდან აკეთებენ ქარხნის კარიერისათვის დამატებითი ფართობის გამოყოფის საკითხი უკვე ოთხი წელია დგას, მაგრამ ვერ წყდება იმის გამო, რომ მიწა სახნავ-სათესია. თქვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა, სხვა ფართობის დასაზვერად არავითარი სამუშაოები არ შეგისრულებიათ.

გთხოვთ შეისწავლოთ აგურის ქარხნის კარიერისათვის სოფელ ოდიშის ტერიტორიიდან სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწების გამოყოფის საკითხი, შესასრულოთ დეტალური საძიებო სამუშაოები და ზუგდიდის რაიაღმასკომთან ერთად წარმოადგინოთ არსებული წესით“.

ყველფერი ნათელი და გასაგებია! სამინისტროს ხელმძღვანელთა წაყრუებით ჩაიშალა აგურის წარმოება, საკვალია ეს იმიტომაც, რომ საწარმოში ახალი ხაზების დადგმა, რაც დიდ ხარჯებთან არ იქნებოდა დაკავშირებული, და რეზერვების-სრული ამოქმედება მის მწარმოებლობას წლიურად სამ მილიონ ცალ აგურამდე გაზრდიდა. ეს კი დიდ დახმარებას გაუწევდა მშენებლებს, რომლებიც აგურის, ამ ძვირფასი საშენი მასალის ნაკლებობის გამო სიძნელეებს განიცდიან.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲐᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲥᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ჯანმრთელობის განვითარებაში დიდი წვლილისა და ექიმის მოვალეობის შესრულებაში თავდადებისათვის „სსრ კავშირის სახალხო ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სახალხო ჯანმრთელობის განვითარებაში დიდი წვლილისა და ექიმის მოვალეობის შესრულებაში თავდადებისათვის აღნიშნულ საპატიო წოდებამინიჭებულ სამ ექიმს შორის არის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელიც — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს ექიმი **კორნელი გრიგოლის ძე წეროძე.**

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მთავარ ექიმს რ. სოლოდოვშვილს, მიულოცა კოლექტივის წევრის ესოდენ დიდი დაფასება.



მკურნალ კორნელი წეროძისათვის „სსრ კავშირის სახალხო ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭება, — თქვა რ. სოლოდოშვილმა, — ჩვენი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის 1500-იანი კოლექტივის დიდი დაფასებაა. ამიტომ დღეს ჩვენთან დიდი ზეიმია. ჩვენს კოლექტივში ომის ვეტერანი, კომუნისტური შრომის დამკვრელი კორნელი წეროძე თითქმის ოცდახუთი წელიწადია მუშაობს. იგი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა, წესიერი, მართალი, პატიოსანი მკურნალად იცნობენ მას როგორც კოლეგები, ისე მისი მრავალრიცხოვანი პაციენტები. პატივცემული კორნელი სანიმუშო მამაც არის. იგი ხუთ შვილს უზრდის სამშობლოს.

კორნელი წეროძე 68 წლისაა. მაგრამ იგი არც ფიქრობს დასვენებაზე. მისი მოწოდება ხომ ის არის, რომ ხალხს ემსახუროს...

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: „სსრ კავშირის სახალხო ექიმი“ კ. წეროძე.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲓᲦᲔᲡ ჩვენს გაზეთში ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ექიმებისათვის „სსრ კავშირის სახალხო ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სახალხო ჯანმრთელობის განვითარებაში დიდი წვლილისა და ექიმის მოვალეობის შესრულებაში თავდადებისათვის აღნიშნულ საპატიო წოდებამინიჭებულ სამ ექიმს შორის არის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელიც — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს ექიმი **კორნელი გრიგოლის ძე წეროძე.**

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მთავარ ექიმს რ. სოლოდოშვილს, მიულოცა კოლექტივის წევრის ესოდენ დიდი დაფასება.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგლები

პარტიული ცხოვრება: იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკა

პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა — აი ის მიზები, რომლებსაც საზოგადოებრივ — ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახავს პარტია ადამიანთა კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბების დარგში. კონკრეტულ, მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს, მათი მიღწევის ფორმებსა და მეთოდებს გვიკარნახებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები და შრომები, მოგონებები „ცვირე მინა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, რომლებიც ფასდაუდებელი წვლილი გახდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საგანძურში. დღეს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების განკარგულებაშია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ისეთი საერთო-პარტიული დოკუმენტი, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ეს არის საბრძოლო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციების გრძელვადიან ამოცანებს კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ამან განაპირობა განსაკუთრებული ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ღია პარტიული კრებისადმი, რომლის ყურადღების ცენტრში იყო იდეოლოგიური აღზრდის საკითხები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა პროფესორმა ს. შარიქაძემ. თანამოხსენებით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი დოცენტი ნ. ასათიანი. კამათში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ა. სურგულაძე, სკკპ ისტორიის № 1 კათედრის გამგე პროფესორი გ. ფირცხალავა, ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ლ. სანიკიძე, არქეოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ო. ჯაფარიძე, ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი პ. ზაქარაია, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი მ. ლორთქიფანიძე, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე სტუდენტი ვ. დოლიძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

მომავალ ისტორიკოსთა აღზრდის საქმეს ფაკულტეტზე ემსახურება ას ოთხი პროფესორ-მასწავლებელი და ორმოცდაერთი თანამშრომელი, მათ შორის — ორი აკადემიის ნამდვილი წევრი, ერთი წევრ-კორესპონდენტი, 28 მეცნიერებათა დოქტორი და 54 კანდიდატი.

ვის ეკუთვნება, თუ არა მათ, მტკიცედ იბრძოლონ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, მისცენ სტუდენტებს საჭირო ცოდნა და გამოუმუშაონ ცხოვრებაში ამ ცოდნის სწორი კალაპოტით წარმართვის უნარი.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ იმ უთვალსაჩინოეს წვლილს, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებს შეაქვთ ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

ლგაზრდა ისტორიკოსთა კლუბმა საშუალება მოგვცა გაგვერთიანებინა არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ სხვა სასწავლო და კვლევითი ორგანიზაციების დამწყები სპეციალისტები. იგი სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებს დამწყები სპეციალისტების მეცნიერული მსოფლმხედველობის, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებების ჩამოყალიბებაში.

პროფესორმა ო. ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სტუდენტობა სულ უფრო ფართოდ ებმება ნეგატიური მოვლენების, ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წამოწყებას ამ მიმართულებით. რესპუბლიკაში მიმდინარე გაჯანსაღების პროცესზე სტუდენტი ახალგაზრდობის დადებითი რეაგირება განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა მიმდინარე წლის მაისში გამართულ საქართველოს სტუდენტთა აქტიის კრების შემდეგ. საჭიროა უნარიანად წარვმართოთ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ენერგია და ინიციატივა, თანამიმდევრულად და გაბარბარულად განვაზოგრციელოთ მათთან იდეოლოგიური მუშაობა.

აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მისი ხარისხი ჯერჯერობით არ შეესაბამება დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, აღნიშნა ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ფ. დოლიძემ. საერთოდ, ცალკეულ საინტერესო თაობნობათა მიუხედავად, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმები და მეთოდები კვლავ ერთფეროვანია. ამას ზოგჯერ მოჰყვება ხოლმე არასასურველი რეციდივები, როცა ცალკეულ სტუდენტებს მცდარად ესმით პატრიოტიზმის, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის შეხამების ზოგიერთი საკითხი. დაბალ დონეზეა ათეისტური აღზრდა.

ამასთან დაკავშირებით საპასუხისმგებლო ღონისძიებები, რომლებსაც ითვალისწინებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების (გეორგიევსკის ტრაქტატის) მე-200 წლისთავის და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მზადება.

ისტორიკოსებმა მნიშვნელოვნად უნდა გააააქტიურონ აღმზრდელობითი მუშაობა, უფრო მიზანსწრაფულად ჩამოუყალიბონ ახალგაზრდა ისტორიკოსთა კლუბმა საშუალება მოგვცა გაგვერთიანებინა არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ სხვა სასწავლო და კვლევითი ორგანიზაციების დამწყები სპეციალისტები. იგი სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებს დამწყები სპეციალისტების მეცნიერული მსოფლმხედველობის, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებების ჩამოყალიბებაში.

პროფესორმა ო. ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სტუდენტობა სულ უფრო ფართოდ ებმება ნეგატიური მოვლენების, ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წამოწყებას ამ მიმართულებით. რესპუბლიკაში მიმდინარე გაჯანსაღების პროცესზე სტუდენტი ახალგაზრდობის დადებითი რეაგირება განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა მიმდინარე წლის მაისში გამართულ საქართველოს სტუდენტთა აქტიის კრების შემდეგ. საჭიროა უნარიანად წარვმართოთ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ენერგია და ინიციატივა, თანამიმდევრულად და გაბარბარულად განვაზოგრციელოთ მათთან იდეოლოგიური მუშაობა.

ამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მისი ხარისხი ჯერჯერობით არ შეესაბამება დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, აღნიშნა ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ფ. დოლიძემ. საერთოდ, ცალკეულ საინტერესო თაობნობათა მიუხედავად, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმები და მეთოდები კვლავ ერთფეროვანია. ამას ზოგჯერ მოჰყვება ხოლმე არასასურველი რეციდივები, როცა ცალკეულ სტუდენტებს მცდარად ესმით პატრიოტიზმის, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის შეხამების ზოგიერთი საკითხი. დაბალ დონეზეა ათეისტური აღზრდა.

ამასთან დაკავშირებით საპასუხისმგებლო ღონისძიებები, რომლებსაც ითვალისწინებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების (გეორგიევსკის ტრაქტატის) მე-200 წლისთავის და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მზადება.

ისტორიკოსებმა მნიშვნელოვნად უნდა გააააქტიურონ აღმზრდელობითი მუშაობა, უფრო მიზანსწრაფულად ჩამოუყალიბონ ახალგაზ-

დღევანდელობის მოთხოვნათა სულისკვეთებით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ღია პარტიულ კრებაზე

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ პირველადი პარტორგანიზაცია პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ძირითადი დასაყრდენი პუნქტი. ამ რგოლში გლობალური ამოცანები კონკრეტული ხდება, ასე განსაჯეთ, განხილვდრება კიდევ ინდივიდუალური მიდგომა პიროვნებისადმი, ხორცს ისხამს მუშაობის პრაქტიკულ, ყოველდღიურ ფორმებსა და მეთოდებში. აქ ყველაზე უკეთ შეიძლება მსჯელობა განხორციელებულ ღონისძიებათა ქმედითობაზე, გულახდილ ვითარებაში გულწრფელი, პრინციპულ აზრთა გაზიარება. ამ აზრს ხაზი გაესვა რესპუბლიკის პარტიული აქტივის ივნისის კრებაზე, სადაც ითქვა, რომ ალმზრდელობითს მუშაობაში არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ დიდი მასშტაბის ღონისძიებით, საჭირო კარგად გაუფიქრეთ თითოეულ ადამიანს.

მაინც რა გვიჩვენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულმა ამ ღია პარტიულმა კრებამ?

უწინარეს ყოვლისა, მან თვალნათლივ და დამაჯერებლად ცხადყო, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო ინტელიგენცია ქმედითად უჭერს მხარს პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენის კურსს, რომელსაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ახორციელებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების მიღების შემდეგ. ფაკულტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის პროფესორ ს. შარიქაძის მოხსენებაში, კრების მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს კურსი სავსებით შეესაბამება იდეოლოგიის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

ისტორიკოსები ყველაზე უკეთ ხედავენ გასვლილი წლების მანძილზე ამ სფეროში მიღწეულ მნიშვნელოვან შედეგებს, აღნიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ. დღეს სკკპ ტიკოსებიც კი იძულებული არიან აღიარონ რესპუბლიკის ეკონომიკაში მომხდარი არსებითი ძვრები, ადამიანთა შეგნებაში მიღწეული უდიდესი გარდატეხა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ წდობის, კეთილმოსურნეობის, დიდი დაინტერესების ვითარება და ამავე დროს ყველა მოვლენისა და ფაქტის კრიტიკუ-

ღირსეული დაფასება

საბჭოთა კინოს

გაერთიანებაში დამსახურებისათვის

21 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები გადასცა კინოს მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომლებმაც ეს წოდებანი დაიმსახურეს ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სისტემაში აქტიური მუშაობისათვის და საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველმა მ. ა. ჭიჭინაძემ წაიკითხა ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახალხო მხატვრის, დამსახურებული არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული მხატვრის, დამსახურებული ინჟინრის, დამსახურებული ეკონომისტის, დამსახურებული ბუღალტერისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. ნ. შენგელაია და რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ლ. ა. ფერნანდესი, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში მათი წვლილის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დადეს, რომ კინოს ოსტატები ერთგულ თანაშემწენი იქნებიან ხალხის საკეთილდღეოდ მის დიად აღმშენებლობითს მუშაობაში.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით დამსწრეთ მიულოცა და უსურვა ჯანმრთელობა და ნაყოფიერი შრომა. მან გამოთქვა რწმენა, რომ მაღალ წოდებათა მინიჭება მუშაობაში მათი შემდგომი წარმატებების საწინდარი იქნება. (საქინფორმი).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიამ დაამტკიცა 125 პუნქტისაგან შემდგარი დღის წესრიგი.

სესიის მუშაობის პირველი დღეებიდანვე შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ჩინეთთან ერთად მოქმედებს, სცადა დელეგატების ყურადღება ჩამოეშორებინა დღის წესრიგის ძირითადი საკითხებისაგან. უფლებამოსილების შემმოწმებელი კომიტეტსა და გენერალურ კომიტეტში მათ აღძრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კამბუჩიის წარმომადგენლობის ხელოვნური საკითხი.

თუმცა კამბუჩიელმა ხალხმა კარგა ხანია განდევნა პოლ პოტ-იენგ სარის დანაშაულებრივი ხროვა, რომელიც მილიონობით ადამიანი მოსპო და ქვეყანა გაანადგა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა ინტენსიური კამპანია გააჩაღეს, რათა ამ ხროვისათვის შეენარჩუნებინათ ადგილი, რომელიც მას უკანონოდ უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სოციალისტურმა ქვეყნებმა, აფრიკის, აზიის, არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა თავიანთ გამოსვლებში დაგმეს პოლ პოტ-იენგ სარის ხროვის დანაშაულობანი, ცხადყვეს, რომ კამბუჩიელი ხალხის ჯალათები სრულიად უსაფუძვლოდ იჩემებენ ადგილს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის გამოგზავნილ წერილში კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხუნ სენმა აღნიშნა, რომ მთელმა კაცობრიობამ დაგმო პოლ პოტ-იენგ სარის რეჟიმი, რომელიც გენოციდის პოლიტიკას ახორციელებდა საკუთარი ხალხის მიმართ და სამი მილიონი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. კამბუჩიელი ხალხი, რომელსაც მხარს უჭერს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა, გადაჭრით მოითხოვს განდევნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის გენოციდში, და აღადგინონ კამბუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს, როგორც თავისი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის, უფლებები.

საეჭვო მანიპულაციებისა და პროცედურული მანევრების საშუალებით, ამ საქმეში სპეციალურად ჩაბმული „იურიდიული მრჩეველების“ ხელმეწყობით კამბუჩიელი ხალხის წინააღმდეგ უღირსი მტრული კამპანიის ორგანიზატორებმა შეძლეს ასამბლეისათვის თავს მოეხვიათ არამართლზომიერი გადაწყვეტილება, რომელიც სხდომათა დარბაზში ტოვებს ხალხის მიერ დამხობილი სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების მოწყობის შესახებ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესაბამისად 23 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვან იუპინის მეთაურობით.

ჩინეთის დელეგაციას დახვდნენ სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, საბჭოთა დელეგაციის წევრები. აეროდრომზე იყო ფრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ტიან ძენპი.

მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის /დელეგაციის მეთაურმა ვან იუპინმა პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთა განცხადება, რომელშიც იმედი გამოთქვა, რომ მომავალი მოლაპარაკების დროს პოზიტიურ შედეგებს მიაღწევენ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲙᲠᲐᲜᲘ

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ



საფრანგეთი. პარიზში მოეწყო ხიძვირის ზრდის საწინააღმდეგო დემონსტრაცია (სურათზე — ზემოთ). მარტო წელს არაერთხელ მოიმატა ბინის ქირამ, გაიზარდა საკლალაქო და სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობის ფასი, ელექტროენერგიისა და გაზის გადახახადი.

